



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი



მარნეული
2021

მუხლი 1.

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი.
2. სამედიცინო პუნქტს ხელმძღვანელობს, წარმოადგენს და მის მუშაობას წარმართავს ექიმი/ექთანი.
3. კოლეჯი ვალდებულია ექიმის/ექთნის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.
4. კოლეჯი და თავად ექიმი/ექთანი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება. მედიკამენტები აღირიცხება სამედიცინო პუნქტში არსებული მედიკამენტების ჟურნალში
5. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და დაწესებულების პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ ექიმს/ექთანს და უსასყიდლოდ მიიღონ შესაბამისი სამედიცინო კონსულტაცია ან დახმარება.
6. თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან დაწესებულების თანამშრომელი ვერ ახერხებს ექიმთან/ექთანთან დამოუკიდებლად მისვლას ან/და ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექიმს/ექთანს და სთხოვოს მათ სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირის ადგილზე გასინჯვა. ექიმი/ექთანი ვალდებულია დაუყონებლივ დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა.
7. ექიმი/ექთანი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:
 - ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;
 - ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრის ინფორმირება.

მუხლი 2.

1. სამედიცინო კაბინეტს ხელმძღვანელობს, წარმოადგენს და მის საქმიანობას წარმართავს ექიმი/ექთანი, რომელიც:

1.1. შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში უწევს პირველად სამედიცინო მომსახურებას დაწესებულების ნებისმიერ პირს და შემდგომ უზრუნველყოფს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახებას, ექიმმა/ექთანმა ოპერატორს ნათლად და კვალიფიციურად უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, აუღწეროს არსებული ვითარება, მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული დახმარების შესახებ და პირველმა არ უნდა დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შესაძლოა ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.

1.2. აწარმოებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების/მსმენელების რეგისტრაციას, შეისწავლის მათ სამედიცინო ისტორიას, უზრუნველყოფს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვას, სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის განახლებას, პერიოდულად აკონტროლებს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის სტუდენტების ადაპტირების პროცესს;

1.3. ახორციელებს წარდგინებებს ექიმი/ექთნის სახელით.

1.4. ექიმმა/ექთანმა შესაძლებლობის ფარგლებში კოლეჯში ატარებს აუცილებელ ღონისძიებებს დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

1.5. მედიკამენტებს ინახავს დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში, მუდმივად აკონტროლებს მათი ვარგისიანობის ვადას და აღრიცხავს სამედიცინო კაბინეტში არსებულ მედიკამენტების ჟურნალში. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტებზე წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს/ექთანს.

მუხლი 3.

1. წინამდებარე წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.